არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ხუთიდან შვიდ წლამდე საშუალო ვადაზე. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

## აქტივის გაუფასურება

თუ არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია, ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ინვესტიციების გაუფასურების გადახედვა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

| | მიმდინარე | 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება | 31 – 60 დღე ვადაგადაცილება | 61-90 დღე ვადაგადაცილება | 91-180 დღე ვადაგადაცილება | 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება |
|---|---|---|---|---|---|---|
| დარეზ. პროც. | | 1% | 2% | 5% | 10% | 100% |

## იჯარა

### საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

### საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

## სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდარღვევა არის

მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა მოგება-ზარალში.

## ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებისგან.

## სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების ამონაგებად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

## ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

## შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები. შემოსავლების გენერირება ხდება დეველოპერული პროექტების შესრულების მომსახურებებიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ყოველთვიური ინვოისების მიხედვით რაც წარმოადგენს ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს შესრულების ეტაპებს. შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

## სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად

გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი გადაიხდება დივიდენდებზე და დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. 2023 წლის 20 მარტიდან კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რომლის ფარგლებშიც მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 5/95. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა გადასახადებად სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

## დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

► როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

► როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღგ აქტივის (ანაზღაურებადი დღგ) ან ვალდებულების ნაწილში.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;

- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალშიკლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეთილებით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

## დივიდენდები

კომპანია აღიარებს დივიდენდის გადახდის ვალდებულებას, როდესაც დივიდენდის განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, დივიდენდების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ მფლობელები. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

## თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

# 3.1 ძირითადი საშუალებები

| ლარი | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | კომპიუტერული ტექნიკა | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2022 წლის 1 იანვარი** | - | - | - | - |
| შესყიდვები | 19,214 | 1,551 | 32,423 | 53,188 |
| გასვლები | - | - | - | - |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 19,214 | 1,551 | 32,423 | 53,188 |
| შესყიდვები | 27,879 | 15,105 | 58,790 | 101,774 |
| გასვლები | | | | |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 47,093 | 16,657 | 91,212 | 154,962 |
| *დაგროვილი ცვეთა* | | | | |
| **2022 წლის 1 იანვარი** | - | - | - | - |
| წლის ცვეთა | 11 | 34 | 694 | 739 |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 11 | 34 | 694 | 739 |
| წლის ცვეთა | 6,088 | 2,843 | 10,068 | 18,999 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 6,099 | 2,877 | 10,761 | 19,738 |
| *საბალანსო ღირებულება* | | | | |
| **2022 წლის 1 იანვარი** | - | - | - | - |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 19,203 | 1,517 | 31,729 | 52,449 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 40,994 | 13,779 | 80,451 | 135,224 |

კომპანიის მიერ ცვეთა აღირიცხება ადმინისტრაციულ ხარჯებში.
კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც შესყიდვის შემდეგ გადაეცემა თანამშრომლებს გამოყენებისთვის. თანამშრომლების დიდი ნაწილი მუშაობს დისტანციურად, ამიტომ ჩვენი აზრით საჭიროა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სპეციალური სისტემის დანერგვა, სადაც აღრიცხული იქნება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების და ადგილმდებარეობის შესახებ ინფრომაცია.

## 3.2 არამატერიალური აქტივები

| ლარი | არამატერიალური აქტივები |
|---|---|
| ღირებულება | |
| **2022 წლის 1 იანვარი** | - |
| შესყიდვები | 4,292 |
| გასვლები | - |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 4,292 |
| შესყიდვები | 8,642 |
| გასვლები | |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 12,934 |
| *დაგროვილი ცვეთა* | |
| **2022 წლის 1 იანვარი** | - |
| წლის ცვეთა | 107 |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 107 |
| წლის ცვეთა | 1,723 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 1,830 |
| *საბალანსო ღირებულება* | |
| **2022 წლის 1 იანვარი** | - |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 4,185 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 11,104 |

## 4. მარაგები

კომპანიას 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნაშთი არ უფიქსირდება.

## 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| სხვა მოთხოვნები | 1,520 | 14,000 | - |
| სავაჭრო მოთხოვნები | 4,252,391 | - | - |
| საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი | - | - | - |
| წმინდა სავაჭრო მოთხოვნები | 4,253,911 | 14,000 | - |
| ავანსები მომწოდებელზე | 589,676 | 488,039 | - |
| საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი ავანსები | 76,604 | 76,604 | - |
| | **4,920,191** | **578,644** | - |

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

## 6. ფული საბანკო ანგარიშებზე

| ლარი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ფული | | | |
| საბანკო ანგარიშებზე | 620,549 | 248,476 | ---- |
| | **620,549** | **248,476** | ---- |

## 7. კაპიტალი და რეზერვები

## 7.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება აკუმულირებული მოგებისგან.
კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

## 7.2 დივიდენდები

2023 წელს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდების რაოდენობა იყო 2 878 145 ლარი. 2022 წელს დივიდენდის გამოცხადება და გაცემა არ განხორციელებულა.

## 8. სესხები

კომპანიას სასესხო მოთხოვნები და ვალდებულებები არ გააჩნია.

## 9. მოგების გადასახადი

2023 წელს კომპანიამ აღიარა განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი 138,681 ლარის ოდენობით. 2023 წლის მარტიდან კომპანია სარგებლობს სპეციალური საგადასახადო რეჟიმით საერთაშორისო კომპანიის სტატუსის გამო, რომლის ფარგლებშიც მას სტანდარტული 15%-ის ნაცვლად დაერიცხა 5%-იანი მოგების გადასახადი.
დივიდენდის გარდა მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს 13,566 ლარს.

## 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| ლარი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 294,694 | 53,019 | - |
| ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ | 123,905 | 35,430 | - |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | 2,852,008 | - | - |
| | 3,270,606 | 88,449 | - |

## 11. შემოსავალი

| ლარი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შემოსავალი | | |
| გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი | 50,139,150 | 5,611,030 |
| | 50,139,150 | 5,611,030 |

კომპანიის მომსახურებას ყიდულობს კვიპროსში დაფუძნებული კომპნია Limited Liability Company GAMETEQ CYPRUS, რომელთანაც კომპანიას მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2022 წლის 1 ოქტომბერს და დღემდე წარმატებით აგრძელებს თანამშრომლობას.
კომპანია არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტის შესაბამისად, ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმებისას, მომხმარებლისთვის საწარმოს მიერ დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდას შორის ვადა, მაქსიმუმ, ერთი წელია.

## 12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

| ლარი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შრომის ანაზრაურება - პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრები | 32,905,329 | 3,429,120 |
| ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა | 1,242,649 | 265,880 |
| არარეზიდენტების მომსახურების ხარჯი | 5,116,918 | 477,916 |
| | 39,264,895 | 4,172,916 |

## 13.ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი | **2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის** | **2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის** |
|---|---|---|
| კომუნიკაციის ხარჯი | 15,748 | 1,543 |
| კომუნალური ხარჯი | 25,060 | 7,009 |
| მივლინების ხარჯი | 18,468 | - |
| წარმომდგენლობითი ხარჯი | 21,632 | 12,445 |
| საბანკო ხარჯი | 203,386 | 26,367 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 128,288 | 40,661 |
| საოპერაციო იჯარა | 853,640 | 301,312 |
| დაზღვევა | 8,514 | 221 |
| შრომის ანაზღაურება_ადმინისტრაცია | 4,670,869 | 197,394 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 20,721 | 847 |
| სხვა ხარჯი | 37,414 | 30,581 |
| | **6,003,742** | **618,379** |

## 14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის

შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

| ლარი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შემოსავალი | | |
| Limited Liability Company GAMETEQ CYPRUS -ისთვის გაწეული მომსახურება (დამფუძნებელი) | 50,139,150 | 5,611,030 |
| დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდი: | | |
| Limited Liability Company GAMETEQ CYPRUS | 1,295,165 | 0 |
| ანიფე ბაზიროვა | 287,814 | 0 |
| ანდრეი ზაბოლოტნი | 633,192 | 0 |
| ვალენტინ აბალმასოვ | 661,973 | 0 |
| ძირითადი მენეჯმენტის ხელფასი | | |
| ხელფასი და სხვა პრემიები | 2,847,482 | 20,499 |

## 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი

„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას.

ასევე 2023 წლის 31 დეკემბრიდან 2024 წლის 1 აპრილამდე ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს გეიმტექ-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე,

## 16. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 აპრილს.

GAMETEQ LLC.
Legal Address:
Georgia, Tbilisi city, Saburtalo district, Adam Mickevichi street, N 29 b
Identification Number: 404515789

Bank Details:
Citibank N.A. New York, USA,
SWIFT: CITIUS33
Bank of Georgia, SWIFT BAGAGE22;
29a, Gagarin str. Tbilisi 0160, Georgia
Acc #: GE21BG0000000538369056

ქ. თბილისი

1/04/2024

შპს “გეიმტექ“ მმართველობითი ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “გეიმტექ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2016 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: საინფორმაციო ტექნოლოგიები – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, კომპიუტერული თამაშების, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ციფრული პროდუქტის მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით, ვებგვერდის მიწოდება;, ვებჰოსტინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება. პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო. ქალაქი თბილისი , საბურთალოს რაიონი, ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 29 ბ .

2023 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 200-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია “გეიმტექ“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას, რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა, ზრდასთან ერთად იზრდეობდა კომპანიის შემოსავლები. იზრდება კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა. მნიშვნელოვანი ხარჯებია 2023 წელს გაწეული თანამშრომელთა ანაზღაურებაზე და ოფისის იჯარაზე.

## 1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. 2023 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიას გაეზარდა საოპერაციო მოგება, რაც გამოწვეულია შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდით. აღნიშნული მაჩვენებლები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

გეიმტექის ძირითადი საქმიანობაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: საინფორმაციო ტექნოლოგიები – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, კომპიუტერული თამაშების, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ციფრული პროდუქტის მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით, ვებგვერდის მიწოდება;, ვებჰოსტინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება. პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება.

მსოფლიო ტრენდები და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას განახორციელოს თავისი საქმიანობა მაღალი სტანდარტების შესსაბამისად

მენეჯმენტის განმარტებით, 2024 წლის განმავლობაში შპს გეიმტექი გეგმავს კიდევ გაფართოებას და თანამრომლების რაოდენობის გაზრდას. დაგეგმილია ყველა განყოფილების გაფართოება, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანია აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

## 2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება.

## 2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანიის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრეობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად

მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი დირექტორის და ფინანსური მენეჯერის მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. კომპანიას საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის N565 განკარგულებით კომპანიას მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანომდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს "გეიმტექი" დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე სისტემატიურად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტინგისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანია მომსახურების მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ ერთ ორგანიზაციაზე, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ პირს. აღნიშნული კომპანია სისტემატიურად და დროულად ახდენს კრედიტორული დავალიანების დაფარვას.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2023 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა დავალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

დირექტორი: ანიფე ბაზიროვა

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა დავალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო,

დირექტორი: ანიფე ბაზიროვა